

აზიის განვითარების ბანკი

პროექტის ნომერი: 42414-043

სესხის ნომერი: 3063

2017 წლის ივნისი

არსებული მდგომარეობის გამოსწორებისთვის
შემოთავაზებული სამოქმედო გეგმა
საქართველო: მდგრადი ურბანული ტრანსპორტის
საინვესტიციო პროგრამა
ტრანში 3

წინამდებარე დოკუმენტი შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის მიერ გასაჯაროვდება აზიის განვითარების ბანკის ვებგვერდზე მას შემდეგ, რაც საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას მენეჯმენტის მიერ შემოთავაზებული არსებული მდგომარეობის გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმის შესახებ, ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის შესაბამისად (2012).

აზიის განვითარების ბანკი

ნებისმიერი ქვეყნის პროგრამის ან სტრატეგიის მომზადებისას, პროექტის დაფინანსებისას, ან წინამდებარე დოკუმენტში რაიმე კონკრეტულ ტერიტორიაზე ან გეოგრაფიულ არეზე მინიშნებისას, აზიის განვითარების ბანკი მიზნად არ ისახავს ტერიტორიის ან არეალის იურიდიული თუ სხვა სტატუსის შეფასებას.

სესხი-3063-GEO: მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა
(SUTIP)

ტრანში 3

არსებული მდგომარეობის გამოსწორების სამოქმედო გეგმა

1. წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს აზიის განვითარების ბანკის მენეჯმენტის მიერ შემოთავაზებულ არსებული მდგომარეობის გამოსწორების სამოქმედო გეგმას (შემდგომში „სამოქმედო გეგმა“), რომელიც ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის 191 პარაგრაფის (2012) შესაბამისად განსახილველად და დასადასტურებლად გადაეცა დირექტორთა საბჭოს. სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის კომენტარები, რომლებიც ასახულია დანართში 2 და მიღებულ იქნა 2017 წლის 29 მაისს. ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის 190 პარაგრაფის შესაბამისად, აღმასრულებელი უწყება დაეთანხმა სამოქმედო გეგმას 2017 წლის 30 მაისს.

A. შესავალი

2. 2017 წლის 13 თებერვალს, შესაბამისობის შემსწავლელმა კომისიამ ზემოთ ხსენებულ პროექტთან („პროექტი“) დაკავშირებით წარმოადგინა თავისი საბოლოო ანგარიში. შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის ანგარიშის თანახმად აზიის განვითარების ბანკი (ADB) არ შეესაბამება საოპერაციო პოლიტიკებსა და პროცედურებს ექვს პუნქტში: (1) ხმაურის ზემოქმედება, (2) ვიბრაციის ზემოქმედება, (3) მოწყვლად ჯგუფებზე ზემოქმედება, (4) წყლისა და მდინარის ეკოლოგიაზე ზემოქმედება, (5) კონსულტაციები, და (6) პროექტის გარემო ზემოქმედების შესაბამისი კატეგორიზაცია. ანგარიშის თანახმად ჰაერზე ზემოქმედება შეესაბამება საოპერაციო პოლიტიკებისა და პროცედურების მოთხოვნებს.
3. სამოქმედო გეგმა თან ერთვის დოკუმენტს დანართი 1-ის სახით და მოიცავს მოქმედებებსა და განრიგს, რათა მოხდეს პროექტის აზიის განვითარების ბანკის პოლიტიკებთან შესაბამისობაში მოყვანა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული სამოქმედო გეგმაში, პროექტის აზიის განვითარების ბანკის პოლიტიკებთან შესაბამისობაში მოყვანისთვის აუცილებელი ზომების მიღება აზიის განვითარების ბანკის პასუხისმგებლობაა, ხოლო ამ ზომების რეალობაში განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (MDF), რომელიც სესხის აღმასრულებელ უწყებას

2 დანართი 1

წარმოადგენს. იმპლემენტაციის პროცესს მონიტორინგს გაუწევს აზიის განვითარების ბანკი.

4. აზიის განვითარების ბანკი აფასებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აზიის განვითარების ბანკის მიერ საკუთარ პოლიტიკებთან შეუსაბამობის გამოსწორებაში გამოჩენილ დახმარებას. ეს თავის მხრივ მიუთითებს იმაზე, რომ რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (MRDI) და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი არ იშურებს ძალისხმევას, რათა პროექტი შესაბამისობაში მოვიდეს აზიის განვითარების ბანკის პოლიტიკებთან. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დამხარებით აზიის განვითარების ბანკი შეძლებს სამოქმედო გეგმის ეფექტურად და შესაბამის ვადებში იმპლემენტაციას.

B. მიდგომა და მეთოდოლოგია

5. იმისთვის, რომ მოხდეს პროექტის შესაბამისობაში მოყვანა და შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის დასკვნებზე შესაბამისი რეაგირება, აზიის განვითარების ბანკი და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი გამოიყენებენ ერთობლივ მიდგომას¹, რომელიც მოიცავს ხმაურის ზემოქმედებაზე, ვიბრაციის ზემოქმედებაზე, წყლისა და მდინარის ეკოლოგიაზე ზემოქმედების, კონსულტაციებზე დამატებითი კვლევების ჩატარებას, რომლებიც ორიენტირებული იქნება კონკრეტულ მოწყვლად ჯგუფებზე. ეს მიდგომა გამოყენებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლებიც ტექნიკურად განხორციელებადი, ფინანსურად ეფექტური და ყველა სტანდარტის შესაბამისია. ზემოთ ჩამოთვლილი კვლევების დასრულების შემდგომ განხორციელდება შესაბამისი ქმედებები. აზიის განვითარების ბანკი და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი განიხილავენ და შეაფასებენ მიღებულ შედეგებს და კვლევებით შემოთავაზებულ ალტერნატიულ გზებს, ასევე განსაზღვრავენ შესაბამის ქმედებებს, რომლებიც ყველაზე ეფექტური იქნება პროექტის შესაბამისობაში

¹ ერთობლივი მიდგომა გულისხმობს დამატებით ქმედებების შედეგებზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღებას, იხილეთ ნაწილი D. ეს შესაძლებელს გახდის შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის ექსპრეს დასკვნაზე რეაგირების მოხდენას და პროექტის აზიის განვითარების ბანკის პოლიტიკებთან შესაბამისობაში მოყვანას. ეს განხორციელდება ექსპრეს დასკვნაზე რეაგირების ხერხების განსაზღვრის საშუალებით.

მოყვანისთვის. მიღებული გადაწყვეტილებები და მოქმედებები განსახილველად გადაეცემა შესაბამისობის შემსწავლელ კომისიას და შემდგომ დირექტორთა საბჭოს შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის საბჭოს. აზიის განვითარების ბანკი და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი გაითვალისწინებენ დირექტორთა საბჭოსა და შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის შეხედულებას ამ მიმოხილვის გამოქვეყნებიდან შესაბამისი მოქმედებებისა და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესამდე. ასევე, აზიის განვითარების ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის დებულების შესაბამისად, პროექტის მიმდინარეობის ან მასში ცვლილებების შეტანის პროცესში გაგრძელდება კონსულტაციები მოსახლეობასთან. თითოეული ანგარიშის მიმოხილვა ითარგმნება ადგილობრივ ენაზე, გავრცელდება და განხილული იქნება დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან. საბოლოო ანგარიში გამოქვეყნდება აზიის განვითარების ბანკისა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებგვერდებზე. მთავრობასთან შეთანხმებული სამოქმედო გეგმა მოცემულია დანართში 1, ხოლო შეთავაზებული მოქმედებების განრიგი დანართში 2. აზიის განვითარების ბანკი დამატებითი კვლევების სამუშაო ვერსიებს განხილვის მიზნით მიაწვდის შესაბამისობის შემსწავლელ კომისიას. სავარაუდო ხარჯების შეჯამება მიმოხილულია დანართში 3.

C. იმპლემენტაციის ვადები

6. შემოთავაზებული სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია განხორციელდება სამი (3) წლის განმავლობაში და დასრულდება 2020 წლის ივნისში. ამ პერიოდის განმავლობაში აზიის განვითარების ბანკი და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი: (1) სამოქმედო გეგმის შესაბამისად მიაწვდიან შესაბამისობის შემსწავლელ კომისიას დამატებითი კვლევების შედეგებს; (2) სისტემატურ მონიტორინგს გაუწევენ განხორციელებული ქმედებების იმპლემენტაციის პროცესს; (3) ყოველი წლის ივნისსა და დეკემბერში წარუდგენენ შესაბამისობის შემსწავლელ კომისიას პროგრესის შესახებ ანგარიშს. შესაბამისობის შემსწავლელი კომისიისთვის წარდგენილ ანგარიშში დეტალურად იქნება ასახული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მოქმედებების განხორციელების პროგრესი, დეტალები და ვადები. ამ ანგარიშების წარდგენა მიზნად ისახავს შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის მიერ საკუთარი მონიტორინგის მისიის შესრულების ხელშეწყობას და აზიის განვითარების ბანკის დირექტორთა საბჭოსთვის პროგრესის შესახებ

3 დანართი 1

ინფორმაციის მიწოდებას (ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკა, პარაგრაფები 192-194). ეს ანგარიშები გამოქვეყნდება აზიის განვითარების ბანკის ვებგვერდზე ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის დანართი 9 პარაგრაფი 3 (viii)-ის შესაბამისად.

D. განხორციელებული ქმედებები და სიახლეები

7. როგორც ეს ნაწილ B-ში არის განხილული, აზიის განვითარების ბანკმა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა წამოიწყეს აქტივობები, რომლებიც გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმაში და მიზნად ისახავს პროექტის პოლიტიკებთან შესაბამისობაში მოყვანას. ეს აქტივობები განხორციელდება შესწავლის, კვლევებისა და გამოკითხვების მეშვეობით, რომლებიც მოიცავს შემდეგს:

8. **ხმაურის ზემოქმედება:** აზიის განვითარების ბანკმა ჩაატარა კვლევა პროექტით გამოწვეულ ხმაურის ზემოქმედებაზე, რომელიც მოთხოვნილია მსოფლიო ჯანდაცვის (WHO) ორგანიზაციის ხმაურის სტანდარტებით და ასახულია WB EHS სახელმძღვანელოებში. ამ კვლევის ფარგლებში განისაზღვრა ზოგადი გარემო ხმაურის საშუალო დონე და მოდელირების საშუალებით განისაზღვრა პროექტის სამშენებლო სამუშაოებისა და მისი ექსპლოატაციის პროცესში მოსალოდნელი ხმაურის დონე სხვადასხვა შემარბილებელი მეთოდების გამოყენებით. ანგარიშში მიმოხილულია შემარბილებლები საშუალებების ოთხი სხვადასხვა სახეობა, რომლებიც შეესაბამება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ხმაურის სტანდარტებს და ასახულია WB EHS სახელმძღვანელოებში. ეს მეთოდები არის: (1) რვა მეტრიანი ხმაურის დამხშობი კედლის მშენებლობა და ხუთი შენობის დანგრევა (შენობები 8, V, 12VG, 16A/B და სასტუმრო); (2) ცხრა მეტრიანი ხმაურის დამხშობი კედლის მშენებლობა და ოთხი შენობის დანგრევა (შენობები 8, V, 12VG, 16A/B); (3) ხუთ მეტრიანი ხმაურის დამხშობი კედლის მშენებლობა, გზის ზედაპირის გაუმჯობესება და ოთხი შენობის დანგრევა (შენობები 8, V, 12VG, 16A/B); და (4) ხუთ მეტრიანი ხმაურის დამხშობი კედლისა და გვირაბის მშენებლობა. ამ კვლევის დასრულება ნავარაუდებია 2017 წლის ივნისში.

- 9. ვიზრაციის ზემოქმედება:** საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ჩაატარა კვლევა ვიზრაციის ზემოქმედებაზე. ამ კვლევის ფარგლებში განისაზღვრება ფონიჭალის დასახლებაში არსებული შენობების ძირითადი სტრუქტურისა და მიშენებების (თვითნებური მიშენებები) ბუნებრივი სიხშირეები. მიღებული შედეგები განხორციელდება მოდელირება და განისაზღვრება ვიზრაციის ზემოქმედება შენობების ძირითად სტრუქტურასა და მიშენებებზე რის საფუძველზეც მომზადდება რეკომენდაციები. კვლევა ასევე ასახავს ვიზრაციის მოდელირებას, რომელიც დამოკიდებული იქნება ხმაურის დამხშობი ბარიერების დამონტაჟებით გამოწვეულ ვიზრაციის შემცირებაზე. კვლევის მეორე სამუშაო ვერსია მზად იქნება 2017 წლის ივნისისთვის.
- 10. მიზანმიმართული კონსულტაციები:** საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა შეიმუშავა პროექტთან დაკავშირებული ყოვლისმომცველი კომუნიკაციების სტრატეგია. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა აიყვანა ეროვნული კომუნიკაციის სპეციალისტი, რომელიც დაეხმარება მას სტრატეგიის განვითარებაში. ეს თანამშრომლობა მიზნად ისახავს პროექტის ლოკაციებზე მოსახლეობასთან, მოწყვლად ჯგუფებთან და კერძოდ მხედველობის დაზიანების მქონე პირებთან კომუნიკაციას. კონსულტაციების ფარგლებში განხორციელდება გამოკითხვები, სამიზნე ჯგუფებთან დისკუსიები, გასაუბრებები და ღია შეხვედრები. ყოველივე ზემოთ აღნიშნულს მონიტორინგს გაუწევს აზიის განვითარების ბანკი.
- 11. წყლისა და მდინარის ეკოლოგიაზე ზემოქმედება:** დაწყებულია მდინარის ეკოლოგიის შემოწმებისა და ზემოქმედების შეფასების კვლევა, რომელიც განსაზღვრავს პროექტის მდინარეზე ზემოქმედებას და ამ ზემოქმედების სიმწვავესა და შესაძლოა შემარბილებელ საშუალებებს. კვლევაში ჩართული ექსპერტების მიერ მოხდება მდინარიდან ნიმუშების აღება, ტესტირება, შემოწმება და ანალიზი.
- 12. წვიმის წყლის გადინება:** საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ინჟინრების დამხარებით შეიმუშავებს წყლის სადრენაჟე სისტემის განახლებულ ვერსიას, რათა მოხდეს მდინარის წყლის დაცვა ავტოსაგზაო შემთხვევებისგან. გარემოს დაცვის მართვის გეგმის ფარგლებში შემუშავდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე რეაგირების გეგმა.

5 დანართი 1

E. შემდგომი ნაბიჯები

13. დადგენილ ვადებში დანართი 1-ში მოცემული მოქმედებების იმპლემენტაცია შეთანხმებულია აზიის განვითარების ბანკს, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის.

დანართი 1

შეთავაზებული სამოქმედო გეგმა

შენიშვნა: განრიგში მოცემული თარიღები (თუ სხვაგვარად არ არის მითითებული) განსაზღვრულია კონკრეტული აქტივობის კონკრეტული თვის ბოლოს დასრულებისთვის.

1	მოქმედება, რომელიც უკავშირდება შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის მიერ გამოვლენილ ხმაურის ზემოქმედებასთან ² ADB შეუსაბამობას	თარიღი
1.1	ხმაურის ზემოქმედების კვლევა: ფონიჭალის დასახლებაში ხმაურის საშუალო დონის განსაზღვრა და სხვადასხვა სცენარების შემუშავება, რათა მიღწეულ იქნას WHO იმ სტანდარტებთან შესაბამისობა, რომლებიც ასახულია WB EHS სახელმძღვანელოებში.	2017 წლის აპრილი (დასრულებული)
1.2	ხმაურის ზემოქმედების კვლევის ანგარიშის სამუშაო ვერსიის განხილვა ADB-სა და MDF-ის მიერ და შედეგების შესაბამისობის შემსწავლელი კომისიისთვის განსახილველად გადაცემა.	2017 წლის მაისი
1.3	ხმაურის შემარბილებელი ისეთი მიდგომის შერჩევა, რომელიც პროექტს შესაბამისობაში მოიყვანს ADB-ს პოლიტიკებთან და პროცედურებთან.	2017 წლის ივნისი
1.4	ერთობლივი მიდგომის ფარგლებში შემარბილებელი საშუალებების იმპლემენტაციის დაწყება.	2017 წლის აგვისტო
2	მოქმედება, რომელიც უკავშირდება შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის მიერ გამოვლენილ ვიბრაციის ზემოქმედებასთან ³ ADB შეუსაბამობას	თარიღი
2.1	ვიბრაციის ზემოქმედების კვლევა: ფონიჭალის დასახლების შენობების ძირითადი სტრუქტურისა და მიშენებების ბუნებრივი სიხშირეების გაზომვა. პროექტით გამოწვეული ვიბრაციის ზემოქმედების მოდელირება და შესაბამის შემარბილებელ ზომებზე რეკომენდაციების მომზადება.	2017 წლის აპრილი (დასრულებულია ბუნებრივი სიხშირეების გაზომვა)
2.2	ბუნებრივი სიხშირეების ანგარიშის სამუშაო ვერსიის განხილვა ADB-სა და MDF-ის მიერ და შედეგების შესაბამისობის შემსწავლელი კომისიისთვის განსახილველად გადაცემა.	2017 წლის აპრილი (დასრულებული)
2.3	ვიბრაციის შესახებ მეორე ანგარიშის სამუშაო ვერსიის შესაბამისობის შემსწავლელი კომისიისთვის განსახილველად წარდგენა, მათ შორის ვიბრაციის შენობების ძირითად სტრუქტურასა და მიშენებებზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება, დიდი ზომის მიშენებების შემთხვევაში ხმაურის შემარბილებელი სხვადასხვა სცენარების განხილვა.	2017 წლის ივნისი

² შეესაბამება შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის ანგარიშის აღმოჩენებს A (გვერდები 8-13).

³ შეესაბამება შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის ანგარიშის აღმოჩენებს B (გვერდები 13-20).

7 დანართი 1

2.4	ვიზრაციის შემარბილებელი ისეთი მიდგომის შერჩევა, რომელიც პროექტს შესაბამისობაში მოიყვანს ADB-ს პოლიტიკებთან და პროცედურებთან.	2017 წლის ივნისი
2.5	ერთობლივი მიდგომის ფარგლებში შემარბილებელი საშუალებების იმპლემენტაციის დაწყება.	2017 წლის აგვისტო
2.6	სამშენებლო სამუშაოების წარმოების ფაზაში ვიზრაციის ზემოქმედების ეფექტური მონიტორინგის სისტემის გამოყენება და კონტრაქტორთან დადებულ ხელშეკრულებაში ქვემოთ ჩამოთვლილის გათვალისწინება: i. ვიზრაციის მონიტორინგის სისტემის განთავსების ადგილმდებარეობის გეგმის (ვიზრაციის წარმომავლობის და ბინებში მაცხოვრებელ პირებზე ზემოქმედების სტრუქტურული შეფასების მიზნით); ii. ვიზრაციის მონიტორინგის მონაცემების ონლაინ ანალიზი (სტრუქტურული შეფასებისთვის: DIN 4150-3 ზემოქმედება ადმიანებზე DIN 4150-2); iii. ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფებზე მორგებული ბარიერების მნიშვნელობის განმარტების შემუშავება; iv. დასაშვები ზღვარის გადაჭარბებების შემთხვევაში სამოქმედო გეგმის შემუშავება; და v. ვიზრაციის მონიტორინგის შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციისა და ანგარიშების მომზადება.	სამშენებლო სამუშაოების ფაზა
2.7	სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე ვიზრაციის ზემოქმედების კვლევის საფუძველზე შენობებიდან ისეთი ნაწილების მოცილება, რომლებიც შესაძლოა ჩამოვარდეს.	სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე
2.8	სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მიშენებების შესაბამისი გამაგრების უზრუნველყოფა.	სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე
3	მოქმედება, რომელიც უკავშირდება შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის მიერ გამოვლენილ მოწყვლად ჯგუფებზე ზემოქმედებასთან⁴ ADB შეუსაბამობას	თარიღი
3.1	ეროვნული კომუნიკაციის კონსულტანტის აყვანა.	2017 წლის მაისი (დასრულებული)
3.2	მოწყვლად პირებთან და ჯგუფებთან კონსულტაციების ჩატარების მეთოდოლოგიის შემუშავება	2017 წლის მაისი
3.3	სამიზნე მოწყვლად ჯგუფებთან და პირებთან კონსულტაციების ჩატარება, რათა მოხდეს (1) სამშენებლო სამუშაოების ფაზაში და (2) საოპერაციო ფაზაში შესაძლო ზემოქმედების შეფასება.	2017 წლის ივნისი
3.4	ანგარიშის სამუშაო ვერსიის განხილვა ADB-სა და MDF-ის მიერ და შედეგების შესაბამისობის შემსწავლელი კომისიისთვის განსახილველად გადაცემა.	2017 წლის ივლისი
3.5	ანგარიში და ამ ანგარიშით გათვალისწინებული შემარბილებელი ზომების შესახებ ინფორმაცია ითარგმნება ადგილობრივ ენაზე, გავრცელდება და განხილული იქნება ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან.	2017 წლის ივლისი-აგვისტო
3.6	ერთობლივი მიდგომის ფარგლებში შემარბილებელი საშუალებების იმპლემენტაციის დაწყება, რათა მოხდეს მოწყვლადი ჯგუფების დაცვა (1) სამშენებლო სამუშაოების ფაზაში და (2) საოპერაციო ფაზაში.	სამშენებლო სამუშაოებისა და საოპერაციო ფაზები

⁴ შეესაბამება შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის ანგარიშის აღმოჩენებს D (გვერდები 21-23).

4	მოქმედება, რომელიც უკავშირდება შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის მიერ გამოვლენილ წყლისა და მდინარის ეკოლოგიაზე ზემოქმედებასთან⁵ ADB შეუსაბამობას	თარიღი
4.1	მდინარის ეკოლოგიაზე ზემოქმედება: საბაზისო კვლევის ჩატარება, ეკოლოგიური შემოწმება და პროექტის სამშენებლო და საოპერაციო ფაზების მდინარის ეკოლოგიაზე ზემოქმედების შეფასება. ზემოქმედების შეფასების კვლევა განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს თევზის დაცულ სახეობებზე ასეთის არსებობის შემთხვევაში.	2017 წლის აპრილი
4.2	ანგარიშის სამუშაო ვერსიის განხილვა ADB-სა და MDF-ის მიერ და შედეგების შესაბამისობის შემსწავლელი კომისიისთვის განსახილველად გადაცემა.	2017 წლის ივნისი
4.3	ანგარიშის სამუშაო ვერსიის ადგილობრივ ენაზე თარგმნა, გავრცელება და ადგილობრივ დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციების ჩატარება.	
4.4	საჭიროებისამებრ შემარბილებელი ზომების მიღება.	სამშენებლო სამუშაოებისა და საოპერაციო ფაზები
4.5	წვიმის წყლის სადრენაჟე სისტემის დიზაინის გადახედვა, რათა მდინარის წყალი დაცული იყოს ავტოსაგზაო შემთხვევებით გამოწვეული დაბინძურებისგან. გარემოს დაცვის მართვის გეგმის ფარგლებში შემუშავდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე რეაგირების გეგმა. ნავთობის სეპარატორის მქონე წვიმის წყლის შეკავების აუზის მოცულობა უნდა იძლეოდეს ავტომობილის სავსე საწვავის ავზის შეკავების საშუალებას.	2017 წლის აგვისტო
5.	მოქმედება, რომელიც უკავშირდება შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის მიერ გამოვლენილ კონსულტაციებთან დაკავშირებულ⁶ ADB შეუსაბამობას	თარიღი
5.1	პროექტის გუნდის მიერ წარგზავნილი სპეციალისტი მოამზადებს საკონსულტაციო მეთოდოლოგიას, რათა მოხდეს სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან მიზანმიმართული კონსულტაციების ჩატარება (ეს მოქმედება ხორციელდება 1 და 3.2 ნაწილების პარალელურად).	2017 წლის მაისი, შესაძლოა მოგვიანებით
5.2	კონსულტაციების ჩატარება 1.3, 2.3, 3.3 და 4.3 მოქმედებების შესაბამისად.	2017 წლის ივნისი (გრძელდება შემდგომ)
5.3	1.3, 2.3, 3.3 და 4.3 მოქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა ADB-სა და MDF-ის მიერ და შედეგების შესაბამისობის შემსწავლელი კომისიისთვის განსახილველად გადაცემა.	2017 წლის ივლისი
5.4	შემდგომი კონსულტაციებისთვის დასკვნები მიეწოდება შესაბამისობის შემსწავლელ კომისიას.	განახლების სახით
6.	მოქმედება, რომელიც უკავშირდება შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის მიერ გამოვლენილ გარემო ზემოქმედების კატეგორიზაციასთან⁷ ADB შეუსაბამობას	თარიღი
	განისაზღვრება ყველა კვლევის დასრულების შემდგომ.	

5 შეესაბამება შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის ანგარიშის აღმოჩენებს E (გვერდები 23-25).

6 შეესაბამება შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის ანგარიშის აღმოჩენებს F (გვერდები 26-28).

7 შეესაბამება შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის ანგარიშის აღმოჩენებს F (გვერდები 28-30).

დანართი 3

სამოქმედო გეგმის სავარაუდო ხარჯების შეჯამების მიმოხილვა

მოქმედება	სავარაუდო ხარჯი (აშშ დოლარში)
ხმაურის ზემოქმედების კვლევა	50, 000 აშშ დოლარი
ხმაურის შემარბილებელი გეგმის იმპლემენტაცია	განისაზღვრება შერჩეული ვერსიის შესაბამისად
არსებული ვიბრაციის კვლევა, დინამიური იდენტიფიკაცია და ვიბრაციის მოდელის განახლება	60, 000 აშშ დოლარი
ვიბრაციის შემარბილებელი გეგმის იმპლემენტაცია	დამატებითი ღირებულება განისაზღვრება მომავალში (სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტის ანგარიში 12 ითვალისწინებს თვითნებური მიშენებების გამაგრებას)
ვიბრაციის მონიტორინგი	უკვე განსაზღვრულია სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტით
მიზანმიმართული კონსულტაციების წარმოების მიზნით კომუნიკაციების ექსპერტის ჩართვა	35, 000 აშშ დოლარი
მდინარის ეკოლოგიის შემოწმება და ზემოქმედების შეფასება	20, 000 აშშ დოლარი
პროექტის გარემო ზემოქმედების კატეგორიზაცია	დამატებითი ხარჯები არ არის
აზიის განვითარების ბანკის ან საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ საჭიროებისამებრ ტექნიკური დახმარების გამოყენება	300, 000 აშშ დოლარი

აზიის განვითარების ბანკი
შესაბამისობის შემსწავლელი კომისია

მემორანდუმი
შესაბამისობის შემსწავლელი კომისია

CRP2017DT028
2017 წლის 29 მაისი

ადრესატი: **Wencai Zhang**
ვიცე პრეზიდენტი (ოპერაციები 1)

ავტორი: **Dingding Tang**
შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე

საგანი: **სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია L3063-GEO: მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა-ტრანში 3- შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის კომენტარები**

1. დიდი მადლობა 2017 წლის 19 მაისს მოწოდებული ინფორმაციისთვის და შესაბამისობის შემსწავლელი კომისიისთვის არსებული მდომარეობის გამოსასწორებელი მოქმედებების სამუშაო ვერსიის გაზიარებისთვის და წინამდებარე პროექტთან მიმართებაში ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის 190 პარაგრაფის შესაბამისად კომენტარების მოთხოვნისთვის.
2. სამოქმედო გეგმასთან და მის დანართ 1-თან დაკავშირებული შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის კომენტარები დეტალურად არის ასახული თანდართულ ცხრილში. აუცილებელი იქნება წარმოდგენილი კომენტარების შესაბამისად დანართი 2-ის განახლება. დანართ 2-ში გათვალისწინებული უნდა იქნას 2.6, 2.7 და 2.8 მოქმედებებთან დაკავშირებული შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის კომენტარები. ეს გამოიწვევს ვადების გადაწევას, ვინაიდან მოქმედებები განხორციელდება სამშენებლო სამუშაოების ფაზაში. აქვე აღსანიშნავია, რომ 1.3, 2.3, 3.3 და 4.3 ნაწილებთან დაკავშირებული შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის მიერ ჩამოთვლილი საკონსულტაციო მოთხოვნები გათვალისწინებული იქნება დანართ 2-ში.

დანართი: კომენტარების ცხრილი

წერილის ასლი ასევე ეგზავნება შემდეგ პირებს:

დირექტორთა საბჭოს შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარეს; ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტის გენერალურ დირექტორს; ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტის გენერალური დირექტორის მოადგილეს; მდგრადი განვითარებისა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეს, ამჟამად შესაბამისობის უფროს ოფიცერს; უფროსი მრჩეველი, OGC; საქართველოში რეზიდენტი მისიის დირექტორს

**მრავალტრანშიანი დაფინანსების ინსტრუმენტი 0043:
 მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა (SUTIP)
 სესხი-3063 (SF)-GEO: SUTIP ტრანში 3
 შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის კომენტარები
 არსებული მდგომარეობის გამოსწორების სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით**

მენეჯმენტის მიერ შემოთავაზებული მოქმედებები	შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის კომენტარები
<p>A. შესავალი</p> <p>1. 2017 წლის 13 თებერვალს, შესაბამისობის შემსწავლელმა კომისიამ ზემოთ ხსენებულ პროექტთან („პროექტი“) დაკავშირებით წარმოადგინა თავისი საბოლოო ანგარიში. შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის ანგარიშის თანახმად აზიის განვითარების ბანკი (ADB) არ შეესაბამება საოპერაციო პოლიტიკებსა და პროცედურებს ექვს პუნქტში: (1) ხმაურის ზემოქმედება, (2) ვიბრაციის ზემოქმედება, (3) მოწყვლად ჯგუფებზე ზემოქმედება, (4) წყლისა და მდინარის ეკოლოგიაზე ზემოქმედება, (5) კონსულტაციები, და (6) პროექტის გარემო ზემოქმედების შესაბამისი კატეგორიზაცია. ანგარიშის თანახმად ჰაერზე ზემოქმედება შეესაბამება საოპერაციო პოლიტიკებისა და პროცედურების მოთხოვნებს.</p> <p>2. წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს აზიის განვითარების ბანკის მენეჯმენტის მიერ შემოთავაზებულ არსებული მდგომარეობის გამოსწორების სამოქმედო გეგმას (შემდგომში „სამოქმედო გეგმა“), რომელიც ანგარიშვალდებულებების მექანიზმის პოლიტიკის 191 პარაგრაფის (2012) შესაბამისად განსახილველად და დასადასტურებლად გადაეცა დირექტორთა საბჭოს. ანგარიშვალდებულებების მექანიზმის პოლიტიკის 190 პარაგრაფის შესაბამისად, აღმასრულებელი უწყება დაეთანხმა სამოქმედო გეგმას 2017 წლის 17 მაისს.</p>	<p>ეს შეთავაზებული არსებული მდგომარეობის გამოსწორების მოქმედებები, შესაბამისობის შემსწავლელ კომისიასთან ერთად განსახილველად უნდა წარედგინოს დირექტორთა საბჭოს.</p> <p>შესაბამისობის შემსწავლელი კომისია მოხარულია იმ ფაქტით, რომ აზიის განვითარების ბანკი არ იშურებს ძალისხმევას, რათა განახორციელოს ქმედებები, რომლებიც პროექტს შესაბამისობაში მოიყვანს აზიის განვითარების ბანკის მოთხოვნებთან. იქიდან გამომდინარე, რომ მოწყვლადი ჯგუფებისა და ეკოლოგიის ვიბრაციისა და ხმაურის ზემოქმედებისგან დამცავი შემარბილებელი საშუალებების განსაზღვრა დამოკიდებულია</p>

მენეჯმენტის მიერ შემოთავაზებული მოქმედებები	შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის კომენტარები
<p>3. სამოქმედო გეგმა თან ერთვის დოკუმენტს დანართი 1-ის სახით და მოიცავს მოქმედებებსა და განრიგს, რათა მოხდეს პროექტის აზიის განვითარების ბანკის პოლიტიკებთან შესაბამისობაში მოყვანა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული სამოქმედო გეგმაში, პროექტის აზიის განვითარების ბანკის პოლიტიკებთან შესაბამისობაში მოყვანისთვის აუცილებელი ზომების მიღება აზიის განვითარების ბანკის პასუხისმგებლობაა, ხოლო ამ ზომების რეალობაში განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, რომელიც სესხის აღმასრულებელ უწყებას წარმოადგენს. იმპლემენტაციის პროცესს მონიტორინგს გაუწევს აზიის განვითარების ბანკი.</p> <p>4. აზიის განვითარების ბანკი აფასებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აზიის განვითარების ბანკის მიერ საკუთარ პოლიტიკებთან შეუსაბამობის გამოსწორებაში გამოჩენილ დახმარებას. ეს თავის მხრივ მიუთითებს იმაზე, რომ რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი არ იშურებს ძალისხმევას, რათა პროექტი შესაბამისობაში მოვიდეს აზიის განვითარების ბანკის პოლიტიკებთან. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დამხარებით აზიის განვითარების ბანკი შეძლებს სამოქმედო გეგმის ეფექტურად და შესაბამის ვადებში იმპლემენტაციას.</p>	<p>კვლევებისა და კონსულტაციების შედეგებზე, შემარბილებელი ზომების მიღება განხორციელდება შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის მიერ კვლევებისა და კონსულტაციების დასრულების შემდეგ.</p>
<p>B. მიდგომა და მეთოდოლოგია</p> <p>5. იმისთვის, რომ მოხდეს პროექტის შესაბამისობაში მოყვანა და შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის დასკვნებზე შესაბამისი რეაგირება, აზიის განვითარების ბანკი და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი გამოიყენებენ ერთობლივ</p>	<p>იმისთვის რომ, უკეთ გახდეს გასაგები თუ რას ნიშნავს „ერთობლივი მიდგომა“, სამოქმედო გეგმაში უნდა იქნას გათვალისწინებული ამ ტერმინის მნიშვნელობა და</p>

მენეჯმენტის მიერ შემოთავაზებული მოქმედებები	შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის კომენტარები
<p>მიდგომას, რომელიც მოიცავს ხმაურის ზემოქმედებაზე, ვიბრაციის ზემოქმედებაზე, წყლისა და მდინარის ეკოლოგიაზე ზემოქმედების, კონსულტაციებზე დამატებითი კვლევების ჩატარებას, რომლებიც ორიენტირებული იქნება კონკრეტულ მოწყვლად ჯგუფებზე. ეს მიდგომა გამოყენებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლებიც ტექნიკურად განხორციელებადი, ფინანსურად ეფექტური და ყველა სტანდარტის შესაბამისია. ასევე, აზიის განვითარების ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის დებულების შესაბამისად, პროექტის მიმდინარეობის ან მასში ცვლილებების შეტანის პროცესში გაგრძელდება კონსულტაციები მოსახლეობასთან. თითოეული ანგარიშის მიმოხილვა ითარგმნება ადგილობრივ ენაზე, გავრცელდება და განხილული იქნება დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან. საბოლოო ანგარიში გამოქვეყნდება აზიის განვითარების ბანკისა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებგვერდებზე. მთავრობასთან შეთანხმებული სამოქმედო გეგმა მოცემულია დანართში 1, ხოლო შეთავაზებული მოქმედებების განრიგი დანართში 2. აზიის განვითარების ბანკი დამატებითი კვლევების სამუშაო ვერსიებს განხილვის მიზნით მიაწვდის შესაბამისობის შემსწავლელ კომისიას. სავარაუდო ხარჯების შეჯამება მიმოხილულია დანართში 3.</p>	<p>და სამომავლო მოქმედებებთან მიმართებაში მისი საოპერაციო შესაბამისობა. შესაბამისობის შემსწავლელი კომისია აკეთებს დასკვნას, რომ მიდგომა რომელიც შერჩეული იქნება როგორც ხმაურის შემარბილებელი საშუალება ზემოქმედებას მოახდენს ვიბრაციის შემარბილებელ მოქმედებებზე და პირიქით. შესაბამისად, აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს „ერთობლივი მდგომის“ საოპერაციო მნიშვნელობა.</p>
<p>ც. იმპლემენტაციის ვადები 6. შემოთავაზებული სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია განხორციელდება ორი(2) წლის განმავლობაში და დასრულდება 2019 წლის ივნისში. ამ პერიოდის განმავლობაში აზიის განვითარების ბანკი და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი: (1) სამოქმედო გეგმის შესაბამისად მიაწვდიან შესაბამისობის შემსწავლელ კომისიას დამატებითი კვლევების შედეგებს; (2) სისტემატურ მონიტორინგს გაუწევენ განხორციელებული ქმედებების იმპლემენტაციის პროცესს; (3)</p>	<p>(1) აზიის განვითარების ბანკმა შესაბამისობის შემსწავლელ კომისიას სამი წლის ვადის ამოწურვამდე, ნახევარ წელიწადში ერთხელ უნდა წარუდგინოს პროცესის მიმდინარეობის პროგრესის შესახებ ანგარიში. არსებული მდგომარეობის გამოსასწორებელი მოქმედებების განხორციელება შესაძლოა გასცდეს 2 წლიან ჩარჩოს ვინაიდან, შესაბამისობის შემსწავლელ</p>

მენეჯმენტის მიერ შემოთავაზებული მოქმედებები	შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის კომენტარები
<p>ყოველი წლის ივნისსა და დეკემბერში წარუდგენენ შესაბამისობის შემსწავლელ კომისიას პროგრესის შესახებ ანგარიშს. შესაბამისობის შემსწავლელი კომისიისთვის წარუდგენილ ანგარიშში დეტალურად იქნება ასახული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მოქმედებების განხორციელების პროგრესი, დეტალები და ვადები. ამ ანგარიშების წარდგენა მიზნად ისახავს შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის მიერ საკუთარი მონიტორინგის მისიის შესრულების ხელშეწყობას და აზიის განვითარების ბანკის დირექტორთა საბჭოსთვის პროგრესის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას (ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკა, პარაგრაფები 192-194). ეს ანგარიშები გამოქვეყნდება აზიის განვითარების ბანკის ვებგვერდზე ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის დანართი 9 პარაგრაფი 3 (viii)-ის შესაბამისად.</p>	<p>კომისია ითხოვს ისეთი ზომების მიღებას, რომლებიც განხორციელდება სამშენებლო სამუშაოების დაწყებისას (იხილეთ სამოქმედო გეგმის დანართი 1 ნაწილი 2.6, 2.7 და 2.8).</p> <p>(2) შესაბამისობის შემსწავლელი კომისია შერჩეული შემარბილებელი ზომების მიღებამდე და მათი კომისიის მიერ საბოლოო განხილვამდე ითხოვს ანგარიშებისა და კომენტარების წარდგენას.</p>
<p>D. განხორციელებული ქმედებები და სიახლეები</p> <p>7. როგორც ეს ნაწილ B-ში არის განხილული, აზიის განვითარების ბანკმა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა წამოიწყეს აქტივობები, რომლებიც გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმაში და მიზნად ისახავს პროექტის პოლიტიკებთან შესაბამისობაში მოყვანას. ეს აქტივობები განხორციელდება შესწავლის, კვლევებისა და გამოკითხვების მეშვეობით, რომლებიც მოიცავს შემდეგს:</p> <p>8. ხმაურის ზემოქმედება: აზიის განვითარების ბანკმა ჩაატარა კვლევა პროექტით გამოწვეულ ხმაურის ზემოქმედებაზე, რომელიც მოთხოვნილია მსოფლიო ჯანდაცვის (WHO) ორგანიზაციის ხმაურის სტანდარტებით და ასახულია WB EHS სახელმძღვანელოებში. ამ კვლევის ფარგლებში განისაზღვრა ზოგადი გარემო ხმაურის საშუალო დონე და მოდელირების საშუალებით განისაზღვრა პროექტის სამშენებლო სამუშაოებისა და</p>	<p>აუცილებელია შესაბამისობის შემსწავლელი კომისიისთვის შემარბილებელი ზომების საბოლოო შერჩევამდე ანგარიშების სამუშაო ვერსიის წარდგენა განხილვისა და კომენტარების გაკეთების მიზნით. სულ მცირე ანგარიშის მიმოხილვა უნდა ითარგმნოს ადგილობრივ ენაზე, გავრცელდეს და ჩატარდეს კონსულტაციები დაინტერესებულ პირებთან, განსაკუთრებით ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მოსახლეობასთან. შესაძლებლობის</p>

მენეჯმენტის მიერ შემოთავაზებული მოქმედებები	შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის კომენტარები
<p>მისი ექსპლოატაციის პროცესში მოსალოდნელი ხმაურის დონე სხვადასხვა შემარბილებელი მეთოდების გამოყენებით. ანგარიშში მიმოხილულია შემარბილებლები საშუალებების ოთხი სხვადასხვა სახეობა, რომლებიც შეესაბამება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ხმაურის სტანდარტებს და ასახულია WB EHS სახელმძღვანელოებში. ეს მეთოდები არის: (1) რვა მეტრიანი ხმაურის დამხშობი კედლის მშენებლობა და ხუთი შენობის დანგრევა (შენობები 8, V, 12VG, 16A/B და სასტუმრო); (2) ცხრა მეტრიანი ხმაურის დამხშობი კედლის მშენებლობა და ოთხი შენობის დანგრევა (შენობები 8, V, 12VG, 16A/B); (3) ხუთ მეტრიანი ხმაურის დამხშობი კედლის მშენებლობა, გზის ზედაპირის გაუმჯობესება და ოთხი შენობის დანგრევა (შენობები 8, V, 12VG, 16A/B); და (4) ხუთ მეტრიანი ხმაურის დამხშობი კედლისა და გვირაბის მშენებლობა. ამ კვლევის დასრულება ნავარაუდებია 2017 წლის ივნისში.</p>	<p>შემთხვევაში, საბოლოო ანგარიში უნდა გახდეს საჯარო მისი აზრის განვითარების ბანკის ვებგვერდზე და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტის ვებგვერდზე გამოქვეყნებით.</p>
<p>9. ვიბრაციის ზემოქმედება: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ჩაატარა კვლევა ვიბრაციის ზემოქმედებაზე. ამ კვლევის ფარგლებში განისაზღვრება ფონიჭალის დასახლებაში არსებული შენობების ძირითადი სტრუქტურისა და მიშენებების (თვითნებური მიშენებები) ბუნებრივი სიხშირეები. მიღებული შედეგები განხორციელდება მოდელირება და განისაზღვრება ვიბრაციის ზემოქმედება შენობების ძირითად სტრუქტურასა და მიშენებებზე რის საფუძველზეც მომზადდება რეკომენდაციები. კვლევა ასევე ასახავს ვიბრაციის მოდელირებას, რომელიც დამოკიდებული იქნება ხმაურის დამხშობი ბარიერების დამონტაჟებით გამოწვეულ ვიბრაციის შემცირებაზე. კვლევის მეორე სამუშაო ვერსია მზად იქნება 2017 წლის ივნისისთვის.</p>	<ol style="list-style-type: none"> (1) ვიბრაციის ზემოქმედება უნდა შეფასდეს შენობის ძირითადი სტრუქტურისა და მიშენებების დონეზე, თუ შენობას აქვს დიდი ზომის მიშენებები. შენობის მხოლოდ ძირითად სტრუქტურაზე ჩატარებული შეფასება საკმარისი არ არის. (2) საბოლოო ანგარიშის მომზადებამდე შესაბამისობის შემსწავლელ კომისიას განხილვისა და კომენტარების გაკეთებისთვის უნდა წარედგინოს კვლევის სამუშაო ვერსია. (3) კვლევის სამუშაო ვერსია საჯარო უნდა გახდეს და მის საფუძველზე კონსულტაციები უნდა ჩატარდეს დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის და აუცილებლად ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან. საბოლოო ანგარიში უნდა გამოქვეყნდეს აზრის განვითარების ბანკისა და საქართველოს მუნიციპალური ფონდის ვებგვერდებზე.

მენეჯმენტის მიერ შემოთავაზებული მოქმედებები	შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის კომენტარები
<p>10. მიზანმიმართული კონსულტაციები: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა შეიმუშავა პროექტთან დაკავშირებული ყოვლისმომცველი კომუნიკაციების სტრატეგია. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა აიყვანა ეროვნული კომუნიკაციის სპეციალისტი, რომელიც დაეხმარება მას სტრატეგიის განვითარებაში. ეს თანამშრომლობა მიზნად ისახავს პროექტის ლოკაციებზე მოსახლეობასთან, მოწყვლად ჯგუფებთან და კერძოდ მხედველობის დაზიანების მქონე პირებთან კომუნიკაციას. კონსულტაციების ფარგლებში განხორციელდება გამოკითხვები, სამიზნე ჯგუფებთან დისკუსიები, გასაუბრებები და ღია შეხვედრები. ყოველივე ზემოთ აღნიშნულს მონიტორინგს გაუწევს აზიის განვითარების ბანკი.</p>	<p>კომუნიკაციების სტრატეგია მის გამოყენებამდე განხილვისა და კომენტარების გაკეთებისთვის უნდა წარედგინოს შესაბამისობის შემსწავლელ კომისიას. უნდა მოხდეს კონსულტაციების ჩანაწერების წარმოება და ეს ინფორმაცია მონიტორინგის წარმოების მიზნით ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისობის შემსწავლელი კომისიისთვის.</p>
<p>11. წყლისა და მდინარის ეკოლოგიაზე ზემოქმედება: დაწყებულია მდინარის ეკოლოგიის შემოწმებისა და ზემოქმედების შეფასების კვლევა, რომელიც განსაზღვრავს პროექტის მდინარეზე ზემოქმედებას და ამ ზემოქმედების სიმწვავესა და შესაძლოა შემარბილებელ საშუალებებს. კვლევაში ჩართული ექსპერტების მიერ მოხდება მდინარიდან ნიმუშების აღება, ტესტირება, შემოწმება და ანალიზი.</p>	<p>უნდა მოხდეს ანგარიშების შესაბამისობის შემსწავლელი კომისიისთვის წარდგენა განხილვისა და კომენტარების გაკეთების მიზნით. ანგარიშის საბოლოო ვერსია უნდა გამოქვეყნდეს აზიის განვითარების ბანკისა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებგვერდებზე.</p>
<p>12. წყლის წყლის გადინება: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ინჟინრების დამხარებით შეიმუშავებს წყლის სადრენაჟე სისტემის განახლებულ ვერსიას, რათა მოხდეს მდინარის წყლის დაცვა ავტოსაგზაო შემთხვევებისგან. გარემოს დაცვის მართვის გეგმის ფარგლებში შეიმუშავდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე რეაგირების გეგმა.</p>	<p>შემუშავებული დიზაინი განსახილველად უნდა გადაეცეს შესაბამისობის შემსწავლელ კომისიას.</p>
<p>შემდგომი ნაბიჯები</p> <p>13. დადგენილ ვადებში დანართი 1-ში მოცემული მოქმედებების იმპლემენტაცია შეთანხმებულია აზიის განვითარების ბანკს, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის.</p>	<p>შენიშვნა ჩაწერილია.</p>

დანართი 1 შემოთავაზებული სამოქმედო გეგმა

შენიშვნა: განრიგში მოცემული თარიღები (თუ სხვაგვარად არ არის მითითებული) განსაზღვრულია კონკრეტული აქტივობის კონკრეტული თვის ბოლოს დასრულებისთვის.

	მოქმედება	თარიღი	შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის კომენტარები
1	მოქმედება, რომელიც უკავშირდება შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის მიერ გამოვლენილ ხმაურის ზემოქმედებასთან¹ ADB შეუსაბამობას		
1.1	ხმაურის ზემოქმედების კვლევა: ფონიჭალის დასახლებაში ხმაურის საშუალო დონის განსაზღვრა და სხვადასხვა სცენარების შემუშავება, რათა მიღწეულ იქნას WHO იმ სტანდარტებთან შესაბამისობა, რომლებიც ასახულია WB EHS სახელმძღვანელოებში.	2017 წლის აპრილი (დასრულებული)	შენიშვნა ჩაწერილია.
1.2	ხმაურის ზემოქმედების კვლევის ანგარიშის სამუშაო ვერსია გადაცემულია განსახილველად.	2017 წლის მაისი	ხმაურის ზემოქმედების კვლევა გადაცემულია შესაბამისობის შემსწავლელი კომისიისთვის შემდგომი განხილვისა და კომენტარების გაკეთების მიზნით.
1.3	როგორც ეს ნაწილ B არის განხილული, ერთობილი მიდგომის შესაბამისად შერჩეულ იქნა ხმაურის ზემოქმედების შემარბილებელი ყველაზე მისაღები ზომები.	2017 წლის ივნისი	<p>შესაბამისობის შემსწავლელ კომისიას მიაჩნია, რომ უნდა მოხდეს შემდეგი ფორმულირება: „ხმაურის შემარბილებელი ისეთი მიდგომის შერჩევა, რომელიც პროექტს შესაბამისობაში მოყვანს აზიის განვითარების ბანკის პოლიტიკებთან და მოთხოვნებთან.“</p> <p>შესაბამისობის შემსწავლელ კომისიასთან კონსულტაციის გავლა ხმაურის შემარბილებელ ზომებთან დაკავშირებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.</p> <p>ანგარიშის მიმოხილვისა და შემოთავაზებული შემარბილებელი ზომების ადგილობრივ ენაზე თარგმნა, გავრცელება და დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან</p>

¹ შეესაბამება შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის ანგარიშის აღმოჩენებს A (გვერდები 8-13).

			კონსულტაციის ჩატარება. საბოლოო ანგარიში გამოქვეყნდება აზიის განვითარების ბანკისა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებგვერდებზე.
1.4	შემარბილებელი ზომების იმპლემენტაციის დაწყება	2017 წლის აგვისტო	
2	მოქმედება, რომელიც უკავშირდება შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის მიერ გამოვლენილ ვიზრაციის ზემოქმედებასთან² ADB შეუსაბამობას		
2.1	ვიზრაციის ზემოქმედების კვლევა: ფონიჭალის დასახლების შენობების ძირითადი სტრუქტურისა და მიშენებების ბუნებრივი სიხშირეების გაზომვა. პროექტით გამოწვეული ვიზრაციის ზემოქმედების მოდელირება და შესაბამის შემარბილებელ ზომებზე რეკომენდაციების მომზადება.	2017 წლის აპრილი (დასრულებულია ბუნებრივი სიხშირეების გაზომვა)	ვიზრაციის ზემოქმედების მოდელირება უნდა მოხდეს როგორც შენობების ძირითად სტრუქტურებზე, ასევე მიშენებებზე, თუ მიშენებები არის დიდი ზომის.
2.2	ბუნებრივი სიხშირეების ანგარიშის სამუშაო ვერსიის განსახილველად გადაცემა.	2017 წლის აპრილი (დასრულებული)	ანგარიშის სამუშაო ვერსიის გადაცემა შესაბამისობის შემსწავლელი კომისიისთვის შემდგომი განხილვისა და კომენტარების გაკეთების მიზნით.
2.3	ვიზრაციის შესახებ მეორე ანგარიშის სამუშაო ვერსია ჩაბარებულია, მათ შორის ვიზრაციის შენობების ძირითად სტრუქტურასა და მიშენებებზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება, დიდი ზომის მიშენებების შემთხვევაში ხმაურის შემარბილებელი სხვადასხვა სცენარების განხილვის ჩათვლით.	2017 წლის ივნისი	(1) საბოლოო ანგარიშის შემუშავებამდე ვიზრაციის ზემოქმედების ანგარიშის სამუშაო ვერსია განხილვისა და კომენტარების გაკეთებისთვის გადაეცემა შესაბამისობის შემსწავლელ კომისიას. (2) უნდა მოხდეს ვიზრაციის ზემოქმედების შეფასება, როგორც შენობის ძირითად სტრუქტურაზე, ასევე მიშენებებზე, თუ მიშენებები არის დიდი ზომის. (3) ანგარიშის მიმოხილვისა და შემოთავაზებული შემარბილებელი ზომების ადგილობრივ ენაზე თარგმნა, გავრცელება და დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან კონსულტაციის ჩატარება. საბოლოო ანგარიში გამოქვეყნდება აზიის განვითარების ბანკისა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებგვერდებზე.

² შეესაბამება შესამოსების შემსწავლელი კომისიის ანგარიშის აღმოჩენებს B (გვერდები 13-20).

2.4	როგორც ეს ნაწილ B არის განხილული, ერთობილი მიდგომის შესაბამისად შერჩეულ იქნა ვიბრაციის ზემოქმედების შემარბილებელი ყველაზე მისაღები ზომები.	2017 წლის ივნისი	შესაბამისობის შემსწავლელ კომისიას მიაჩნია, რომ უნდა მოხდეს შემდეგი ფორმულირება: „ხმაურის შემარბილებელი ისეთი მიდგომის შერჩევა, რომელიც პროექტს შესაბამისობაში მოყვანს აზიის განვითარების ბანკის პოლიტიკებთან და მოთხოვნებთან.“ აქვე გთხოვთ განსაზღვროთ რას გულისხმობს „ერთობლივი მიდგომის გამოყენება“?
2.5	შემარბილებელი ზომების იმპლემენტაციის დაწყება	2017 წლის აგვისტო სამშენებლო სამუშაოების ფაზა	<p>შესაბამისობის შემსწავლელი კომისია იძლევა რჩევას მოქმედებები 2.6-დან 2.8-ის ჩათვლით დაემატოს შესაბამის შემოთავაზებულ განრიგს (წინამდებარე ცხრილის 3 სვეტი).</p> <p>2.6 სამშენებლო სამუშაოების წარმოების ფაზაში ვიბრაციის ზემოქმედების ეფექტური მონიტორინგის სისტემის გამოყენება და კონტრაქტორთან დადებულ ხელშეკრულებაში ქვემოთ ჩამოთვლილის გათვალისწინება:</p> <ul style="list-style-type: none"> (i) ვიბრაციის მონიტორინგის სისტემის განთავსების ადგილმდებარეობის გეგმის (ვიბრაციის წარმომავლობის და ბინებში მაცხოვრებელ პირებზე ზემოქმედების სტრუქტურული შეფასების მიზნით); (ii) ვიბრაციის მონიტორინგის მონაცემების ონლაინ ანალიზი (სტრუქტურული შეფასებისთვის: DIN 4150-3 ზემოქმედება ადამიანებზე DIN 4150-2); (iii) ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფებზე მორგებული ბარიერების მნიშვნელობის განმარტების შემუშავება; (iv) დასაშვები ზღვარის გადაჭარბებების შემთხვევაში სამოქმედო გეგმის შემუშავება; და

		სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე	(v) ვიზრაციის მონიტორინგის შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციისა და ანგარიშების მომზადება.
		სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე	2.7 შენობებიდან ისეთი ნაწილების მოცილება, რომლებიც შესაძლოა ჩამოვარდეს. იხილეთ შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის საბოლოო ანგარიში პროექტის შესაბამისობის მიმოხილვის შესახებ, პარაგრაფი 37. აქვე მიმოხილულია შესაბამისი ზომები. 2.8 სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მიმდინარეობის შესაბამისი გამაგრების უზრუნველყოფა.
3	მოქმედება, რომელიც უკავშირდება შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის მიერ გამოვლენილ მოწყვლად ჯგუფებზე ზემოქმედებასთან³ ADB შეუსაბამობას		
3.1	ეროვნული კომუნიკაციის კონსულტანტის აყვანა.	2017 წლის მაისი (დასრულებული)	შენიშვნა ჩაწერილია.
3.2	მოწყვლად პირებთან და ჯგუფებთან კონსულტაციების ჩატარების მეთოდოლოგიის შემუშავება	2017 წლის მაისი	კონსულტაციების მეთოდოლოგიების გამოყენების დაწყებამდე განსახილველად და კომენტარების გასაკეთებლად უნდა წარედგინოს შესაბამისობის შემსწავლელ კომისიას.
3.3	მიზანმიმართული კონსულტაციების ჩატარება წინასწარგანსაზღვრულ პირებთან და ჯგუფებთან	2017 წლის ივნისი	ფორმულირება უნდა იყოს შემდეგი: „სამიზნე მოწყვლად ჯგუფებთან და პირებთან კონსულტაციების ჩატარება, რათა მოხდეს (1) სამშენებლო სამუშაოების ფაზაში და (2) საოპერაციო ფაზაში შესაძლო ზემოქმედების შეფასება“. სამშენებლო და საოპერაციო ფაზებზე აქცენტის გაკეთება მნიშვნელოვანია იქიდან გამომდინარე, რომ სამშენებლო ფაზის ზემოქმედება ყველაზე მძიმედ აისახება მოწყვლად ჯგუფებზე.
3.4	ანგარიშის სამუშაო ვერსიის განხილვა ADB-სა და MDF-ის მიერ და შედეგების შესაბამისობის შემსწავლელი კომისიისთვის განსახილველად გადაცემა.	2017 წლის ივლისი	შენიშვნა ჩაწერილია.

³ შეესაბამება შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის ანგარიშის აღმოჩენებს D (გვერდები 21-23).

3.5	წინასწარგანსაზღვრული სამიზნე საშუალებების დანერგვა	2017 წლის აგვისტო-დეკემბერი	<p>შესაბამისობის შემსწავლელი კომისია იძლევა რეკომენდაციას 3.5 შეიცვალოს შემდეგნაირად: „კვლევის შედეგები და შეთავაზებული ზომები ითარგმნება ადგილობრივ ენაზე, გავრცელება და განხილული იქნება ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მოსახლეობასთან“.</p> <p>აქვე, შესაბამისობის შემსწავლელი კომისია იძლევა რეკომენდაციას ნაწილი 3.5 გადანაწილდეს ნაწილ 3.6 და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით: „შემუშავებული შემარბილებელი ზომების იმპლემენტაცია, რათა მოხდეს მოწყვლადი ჯგუფების დაცვა (1) სამშენებლო სამუშაოების ფაზაში და (2) საოპერაციო ფაზაში.“</p>
4	მოქმედება, რომელიც უკავშირდება შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის მიერ გამოვლენილ წყლისა და მდინარის ეკოლოგიაზე ზემოქმედებასთან⁴ ADB შეუსაბამობას		
4.1	მდინარის ეკოლოგიაზე ზემოქმედება: ეკოლოგიური შემოწმების და ზემოქმედების შეფასების კვლევის ჩატარება, და პროექტის სამშენებლო და საოპერაციო ფაზების მდინარის ეკოლოგიაზე ზემოქმედების შეფასება. შესაბამის შემარბილებელ ზომებზე რეკომენდაციების მომზადება.	2017 წლის აპრილი	საბაზისო კვლევის ჩატარება, ეკოლოგიური შემოწმება და პროექტის სამშენებლო და საოპერაციო ფაზების მდინარის ეკოლოგიაზე ზემოქმედების შეფასება. ზემოქმედების შეფასების კვლევა განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს თევზის დაცულ სახეობებზე ასეთის არსებობის შემთხვევაში.
4.2	ანგარიშის სამუშაო ვერსია ჩაბარდა განსახილველად	2017 წლის ივნისი	<p>შესაბამისობის შემსწავლელი კომისიისთვის ანგარიშის სამუშაო ვერსიის წარდგენა განხილვისა და კომენტარების გაკეთების მიზნით.</p> <p>შესაბამისობის შემსწავლელი კომისია იძლევა რეკომენდაციას დაემატოს შემდეგი პუნქტები:</p> <p>4.3 ანგარიშის სამუშაო ვერსიის ადგილობრივ ენაზე თარგმნა, გავრცელება და ადგილობრივ</p>

⁴ შეესაბამება შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის ანგარიშის აღმოჩენებს E (გვერდები 23-25).

			დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციების ჩატარება. 4.4 საჭიროებისამებრ შემარბილებელი ზომების მიღება.
4.3	წვიმის წყლის სადრენაჟე სისტემის დიზაინის გადახედვა, რათა მდინარის წყალი დაცული იყოს ავტოსაგზაო შემთხვევებით გამოწვეული დაბინძურებისგან. გარემოს დაცვის მართვის გეგმის ფარგლებში შემუშავდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე რეაგირების გეგმა.	2017 წლის აგვისტო	ზემოთ შემოთავაზებული ცვლილების გათვალისწინებით ნაწილი 4.3 გახდება ნაწილი 4.5. არსებულ ნაწილ 4.3-ს (რომელიც გახდება ნაწილი 4.5) დაემატება შემდეგი ინფორმაცია: „ნავთობის სეპარატორის მქონე წვიმის წყლის შეკავების აუზის მოცულობა უნდა იძლეოდეს ავტომობილის სავსე საწვავის აუზის შეკავების საშუალებას.“
5	მოქმედება, რომელიც უკავშირდება შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის მიერ გამოვლენილ კონსულტაციებთან დაკავშირებულ⁵ ADB შეუსაბამობას		შესაბამისობის შემსწავლელ კომისიას მიაჩნია, რომ კონსულტაციები უნდა ჩატარდეს ნაწილ 1.3, 2.3, 3.3 და 4.3 დაკავშირებულ საკითხებზე და მიზანმიმართული კონსულტაციები უნდა ჩატარდეს კონკრეტულ კვლევებთან და შესაბამის შემარბილებელ ზომებთან დაკავშირებით.
5.1	პროექტის გუნდის მიერ წარგზავნილი სპეციალისტი მოამზადებს საკონსულტაციო მეთოდოლოგიას, რათა მოხდეს სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან მიზანმიმართული კონსულტაციების ჩატარება (ეს მოქმედება ხორციელდება 3.2 ნაწილის პარალელურად).	2017 წლის მაისი და შემდგომ პერიოდში	მიზანმიმართული კონსულტაციების წარმოების შემოთავაზებული მეთოდოლოგია, რომელიც შეეხება ნაწილებს 1.3, 2.3, 3.3 და 4.3 გამოყენებამდე განსახილველად უნდა გაეგზავნოს შესაბამისობის შემსწავლელ კომისიას.
5.2	კონსულტაციების წარმოება	2017 წლის ივნისი (გაგრძელდება შემდგომაც)	შესაბამისობის შემსწავლელი კომისია რეკომენდაციას იძლევა ამ პუნქტს დაემატოს შემდეგი: ‘1.3, 2.3, 3.3 და 4.3 მოქმედებების შესაბამისად.’
5.3	დასკვნების ანგარიშის სამუშაო ვერსიის განხილვა ADB-სა და MDF-ის მიერ და შედეგების შესაბამისობის შემსწავლელი კომისიისთვის განსახილველად გადაცემა.	2017 წლის ივლისი	შესაბამისობის შემსწავლელი კომისია რეკომენდაციას ფორმულირება მოხდეს ასე: „1.3, 2.3, 3.3 და 4.3 მოქმედებებთან დაკავშირებული კონსულტაციების ჩანაწერების წარმოება, მათი განხილვა ADB-სა და MDF-ის მიერ და შესაბამისობის შემსწავლელი კომისიისთვის განსახილველად გადაცემა.“

⁵ შეესაბამება შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის ანგარიშის აღმოჩენებს F (გვერდები 26-28).

5.4	შემდგომი კონსულტაციებისთვის დასკვნები მიეწოდება შესაბამისობის შემსწავლელ კომისიას.	განახლების სახით	შენიშვნა ჩაწერილია.
6	მოქმედება, რომელიც უკავშირდება შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის მიერ გამოვლენილ გარემო ზემოქმედების კატეგორიზაციასთან ⁶ ADB შეუსაბამობას		
	განისაზღვრება ყველა კვლევის დასრულების შემდგომ.		შენიშვნა ჩაწერილია.

6 შეესაბამება შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის ანგარიშის აღმოჩენებს F (გვერდები 28-30).